№ 48. 2 მარტი, პარასკევი. 18.6—1884 2 მარტი, პარასკევი. № 48.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

«დროების» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ორ[illegible] კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

დღესასწაულის გამო ხვალ გაზეთი არ გამოვა.

გამოვიდა № 2 ჟურნალი „ნობათი"-სა და ურიგდება ხელის მომწერლებს

## შინაური ქრონიკა

— ერთი წევრი სამეურნეო საზოგადოებისა, ბ. ი. წინამძღვრიშვილი, როგორც შევიტყეთ, აპირობს თურმე ამ საზოგადოებაში შემდეგი წინადადების შეტანას: «საზოგადოების» შემოსავლიდამ ერთი ნაწილი გადიდვას ყოველ-წლივ უკვდავი თანხის შესადგენად; დაარიგოს საზოგადოებამ ყოველს მაზრაში სამეურნეო მაშინები, რომ ხალხმა მათი მოხმარება ისწავლოს და შეძლებისამებრ გამართოს დაბალი სამეურნეო სასწავლებლები სოფლებში.

— პეტერბურგიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ იქ 15 თებერვალს გაუმართავთ მუსიკო-დრამატიული საღამო შეუძლებელი ქართველი სტუდენტების სასარგებლოდ.

— ერთი სანდო პირი გვწერს: «ამას წინედ მე შემხვდა წალკის ბერძნების ს. ედიქიშის მღვდელი მ. მახეილ ქსენოდოხოვი, რომელმაც შემდეგი მიამბო: თრიალეთში იმყოფებიან 200 კომლამდე გორის მაზრიდამ გადმოსახლებული ოსები. როგორლაც მომიხდა მათში ყოფნა და ძალიან გამაკვირვა მათმა სიღარიბემ. გარდა ამისა, თუმცა ეს ოსები ქრისტიანებად ითვლებიან, მაგრამ არც მღვდელი ჰყოლიათ, არც ინათლებიან და არც ეზიარებიანო.

პატივცემულ მ. მიხეილს მოუნათლავს ათი 6—7 წლის ყმაწვილი, რომელთაც ნათლობაზე არავითარი ცნობა ჰქონიათ.»

— ოსეთში თურმე საშინელი სიცივეებია და დიდი თოვლიც ყოფილა, ასე რომ სითბოების დამდეგს ზვავებს უნდა მოველოდეთ. ამას გარდა, ეგზეკუციას ისე შეუწუხებია ისედაც ღარიბი გორის მაზრის ოსები, რომ საშიშია—ვაი თუ გაზაფხულის დამდეგს უნებლიეთ ქართლის ახლო-მახლო სოფლებზე გაითარეშონ.

— გორის მაზრის ოსეთამდისაც მიუღწევია ავადმყოფობას. ზოგიერთა სახლებში ყვავილისაგან ავადმყოფი ყმაწვილები წვანან თურმე; იმედი გვაქვს, რომ ცხინვალის ხეობის ფერშალი ბ. ძ—ვი ენერგიულ ზომებს მიიღებს, რომ ავადმყოფობამ ფესვი არ გაიდგას.

## წერილი რედაქციისადმი.

ბ. რედაქტორო! საყურადღებოდ მიმაჩნია, რომ ვაცნობო თქვენი გაზეთის მკითხველებს ერთი შესანიშნავი წარწერა, რომელიც არის პატარა ლიახვის ხეობაზედ, პატარა ოსის სოფელში. ერთ ნანგრევ კოშკის საძირკველში, უშველებელ გათლილ ფილაქანზედ არის წარწერილი ლექსი, რომელიც ნამდვილად ვერ გავიგე, რომელ საუკუნეს ეკუთვნის. მაგრამ კარგად კია შენახული და, იმედია, მრავალნი წელნი გაივლიან და ვერც ავდარი და ვერც ბრუნვა სოფლისა ვერ ამოშლიან ამ ფილაქნიდამ ამ წარწერას. მე არხეოლოგი არ გახლავართ და ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ვერ მივხდი, ვერც გავარკვიე, რომელ საუკუნეს ან რომელ წელს ეკუთვნის ეს ლექსი. მხოლოდ ლამაზად სჩანს ციფრი 884. ციფრის შემდეგ ეტყობა, რომ ძალით ცდილან წაეშალათ რამდენიმე სიტყვა. რას ნიშნავს ეს ლექსი არხეოლოგებისთვის მიმინდვია. მე სინამდვილეს მივდიე და სიტყვა-სიტყვით გადავწერე. რაც შეცდომა არის ლექსთ წყობილობაში თვითონ წამწერის ბრალია.

აი ლექსიც:

სახსოვრად უნდა დარჩეს ჩვენს სამშობლო ოსეთშია,
წელიწადი იგი, ოდეს დავწიოკდით ჩვენ სახლშია;
ამირანი გამოლაშქრდა, ასი კაცით ჩვენს მთაშია;
ბევრი ცრემლი გვაღვრევინა საწყალ-ღარიბ ცოლ-შვილშია.

* * *

უფროსად ჰყავდა იმას ერთი ვიღაც სითვთა-აღა;
იმის ხელ ქვეითად იყო გურგენია ბროდიაღა.
აღარავინ არ დაინდვეს—არცა მცირე, არც აღა,
მათმა უწყალო ცემამ სულ ბეჭები დაგვიღაღა.

* * *

უცოდველს და ცოდვიანსა ერთად ხვდათ გადასახადი,
ერთად იხადეს ყველამა ეს სენი, შავი სახადი;
სასაფლაონი წაბილწეს ძაღლის ხოცით და კატებით,
უცნაური ფიცი ჰფიცეთ, ძალით იყო, არა ნებით.

* * *

ქალი მოგვტაცა, წაბილწა უაზრდოლდმა ბეგმაო
ტერ-აკოფამ შეუდგინა ხელ-შეკრულობის გეგმაო;
ღმერთო! გვიბრალე, ნუ გვნახამთ მეორედ ამა დღესაო
და შენ გაეცი პასუხი ჩვენს მაგიერად მტერსაო.

—

როდინდელ დროს ეკუთვნის ეს ლექსი? ჩემისთანა უცოდინარი კაცისთვის გაუგებარია. ვნატრობ იმ დღეს, როცა არხეოლოგთა კრება შესდგება და გამოაშკარავებულ იქმნება ახალი თაობისთვის ამ ლექსის მნიშვნელობა. ამბობენ სხვა სოფელშიაც არის წარწერილი ლექსიო; ისიც უშველებელ ფილაქანზედ მშვენიერად ვამოჭრილი ასოებით დაწერილიო. თუ ეს ლექსი საყურადღებოდ შერაცხოთ, ბ. რედაქტორო, და დაბეჭდოთ, მაშინ მაცნობეთ «დროების ფოსტით»,—მაშინვე გავემგზავრები, რათა მივიღო შრომა, გადავსწერო ისიც და გამოგიგზავნოთ.

ბაბა-ხან.

ქ. გორი.
25 თებერვალს.

## «დროების» ფელეტონი, 2 მარტი.

* * *

სქელ ბურუსში ჰქრება დღე ავდრიანი,
მწუხარებას არე-მარე მოუცავს,
სტკენს და ქშინავს ჭაობი ლერწმიანი,
ქარიც ჰკვნესის, სულს მიგუბებს დ გულს მწვავს.

—

მდინარეზედ ჩუმად გადაურდომილნი
ტირიფები მწვავის ფიქრით სდნებიან
და ზვირთები, რაზმებად დაწყობილნი,
იდუმალ მთებს მოთქმით ეთხოვებიან.

—

ნაცნობს ადგას ერთჯერ მოკვდი კიდე
და განვლილის მოგონება მაღონებს,
წყნარ ბუნებას მოუსხამს გლოვის რიდე
და ჩუმსავით თვითაც სევდით ჰგოდებს.

—

თვალთგან მომდის ულმობელი ცრემლები,
— მიმღერს: «თავი გაიწირეო!»
და შორიდამ მოჩუხჩუხე ზვირთები
მეძახიან: «იტირე, იტირეო!»

***

მოგონება იმ უმანკო სახისა
მე მომაკვდავს მასმევს უკვდავების წყალს
და დიდის ხნით — განაძრახისა
იმედივე ხელს მიბრუნებს მე საწყალს!

ცახელი.

## მეგობრების საუბარი ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობაზე.

«მოყვარეს პირში უძრახე,
«მტერსა პირს უკანაო.»

(დასასრული*)

— კარგი! კარგი, მეგობარო! მესმის, რასაც ამბობ; შენი პირველი ბრალი დამტკიცებული იყოს. ახლა მეორე განმარტე: რაში ჰხედავ შენ, რომ ჩვენი მოქმედების პროგრამა განუსაზღვრელია?

— მე და ჩემმა ღმერთმა, ახირებული კაცი ხარ! ესეც დასამტკიცებელი და ასახსნელია? მაგრამ რა გაეწყობა—ტყუილად კი არ არის ნათქვამი: «взялся за гужъ, не говори, что дюжъ». მაშ, გამიგონე! ჯერ ერთი ეს, რომ სულ უკანასკნელად რომ ვთქვათ, მაინც ჩვენი ინტელიგენციის სამს მეოთხედს არავითარი პროგრამა და მიმართულება არა აქვს, და უნდა გითხრა სიმართლე, რომ არც ეძებს, რადგან უპროგრამოდ უფრო ადვილი და ტკბილია ცხოვრება. დარჩა საწყალი ერთი მეოთხედი, მაგრამ აქ რამდენი კაციცაა, იმდენი სხვა-და-სხვა პროგრამა და მოსაზრება სუფევს. მაგ. ერთი ჰფიქრობს, რომ ჩვენთვის უმთავრესს ეხლანდელ საჭიროებას შეადგენს ლიტერატურა და სამშობლო ენა, რომელთ აღორძინებისთვის უნდა მუშაობდესო ყოველი კაციო; ამისათვის მოდით და ყველა ლიტერატურაში ჩამოდითო; მეორე ამბობს, რომ ჩვენი პირველი საჭიროება სასწავლებლების დაფუძნება, გამრავლება და კარგი ორგანიზაციააო; უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა შევიძინოთ კარგი განათლებაო და მაშინ, მხოლოდ მაშინ ჩვენ გვეყოლება კარგი ლიტერატორები, მასწავლებლები, დოქტორები და სხვებიო; ერთი ჰფიქრობს, რომ ცხოვრებაში, მაგალითად, ჩვენ სხვა განათლებული ხალხები უნდა გვყავდეს და ვსარგებლობდეთ მათი ისტორიით, მეცნიერებით და გამოცდილებით,—მეორე ამბობს, რომ უმჯობესი იქნება ისე ვიცხოვროთ, როგორც ჩვენი მამა-პაპები ცხოვრობდენო; ერთი ჰფიქრობს, რომ სხვა-და-სხვა გვარი ელემენტების შეერთება, შესაძლებელი არ არისო, ჩვენი დევიზი ერთმანეთში ბრძოლა უნდა იყოსო; ერთი დარწმუნებულია, რომ სახელოვანი კაცების ძეგლის აგება, ამის გამო საზოგადო დღესასწაული, მათი მოგონება და შესწავლა, ჩვენ გონებრივ გაგვაცხოველებს, როგორც, ხანგრძ-

*) იხ. «დროება» № 47.

## პასუხი ქ. გელოვანს.

(დასასრული *)

ჯერ სანამ ბაქრაძეზე რასმეს ვიტყოდე, საჭიროა ჩვენი ბედკრული რაჭის ცხოვრებაზე ვსთქვა ორიოდე სიტყვა:

რაჭაში კაი ხანია დამკვიდრდა ერთ გვარი წრე საზოგადოებისა, ანუ უკეთ ვსთქვათ ამხანაგობა, რომელსაც თავის ცხოვრების მიზნად დაუდვეს ხალხის ცარცვა-გლეჯით გამდიდრება. ამ მიზნის მისაღწევად ბევრ-ნაირი საშუალება ხმარებულა რაჭაში (ზოგი მკითხველს გაგონილი აქვს გაზეთებიდგან). ამხანაგობას ჰყავს თავის აგენტები აქა-იქ სოფლებში და ქალაქებში. შარშან შემოდგომაზე ჩვენში გუბერნატორის მოსვლამ ბევრი ბოროტ-მოქმედება გამოააშკარავა, მაგრამ ჯერ კიდევ მაგრად აქვს ბოროტ-მოქმედებას ფესვები გასხმული. ღმერთმან ინებოს, რომ ძირიანად მოსპობილიყოს რაჭის ნიადაგზე ბოროტება. იქნება იკითხოს მკითხველმა, თუ რისთვის იყო ამდენს ხანს ეს ბოროტება დაფარული? ამისი პასუხი ადვილია; ვინ იქნებოდა ისეთი თავ-მოძულებული და თავ-გამოდებული, რომ ერთი კრინტი დაეძრას და რამე წინააღმდეგი გაემხილოს ბოროტ-მოქმედებაზე, მაშინ იმას ელოდა სხვა-და-სხვა გვარი სასჯელი და უფრო ხშირად კი გამათრახება, «გაროზგვა» და სხ. ამ გვარი საქმის აღმასრულებლებიც ჰყავდათ ბოროტ პირებს. დასამტკიცებლად ამისა მოვიყვან რამოდენიმე შემთხვევას, რომლებშიაც გელოვანისგან ხსენებული მ. ბაქრაძე პირველი მომქმედი პირი იყო.

1) ბაქრაძემ თავის ამხანაგებითურთ ერთი ვინმეს პატივისცემისთვის დ. ონში, ტალახიან ქუჩაზე, მაზრის უფროსის სახლის წინ, წამოაქციეს გ. გმ—შვილი და ისე გაროზგეს, როგორც 25 წლის წინედ პატარა მოსწავლეებს როზგავდენ სკოლებში. რისთვის?—აქაო და როგორ გაბედე ამა-და-ამ პირზე საჩივრის დაწერაო. ამ საქმისთვის ბაქრაძეს ერთი თვის დატუსაღება გადაუწყვიტა სამართალმა.

2) ს. მ—მა წინააღმდეგობა აღმოუჩინა ბოროტ-მოქმედებას, რატომ შენ ეს გაბედეო და მ. ბაქრაძე თავის ამხანაგებითურთ დახვდა გზაზე და მიაყენა შეურაცხება.

3) «დროების» მკითხველებს ეხსოვებათ: ერთს დროს ქუთაისში სააზნაურო ბანკის თაობაზე მოლაპარაკების დროს ერთი ვინმე დედა-კაცმა ერთს საპატიო პირს მოქმედებით შეურაცხება მიაყენა. ამ დროს ბაქრაძე ეცა ამ დედა-კაცს და უწყალოდ ათრია ქუჩაზე; ამ საქმისთვისაც გადაწყვეტილი აქვს მას სასჯელი.

4) წარსულ ნოემბრის თვეში მე დავიარებოდი ქ. ქუთაისის ბულვარზე ერთად პროკურორის სეკრ. გამყრელიძესთან. ამ დროს საიდგანღაც გაჩნდა მ. ბაქრაძე, მეცა გაბრაზებული და ერთი დამკრა თავში ხელი და თანაც ეს სიტყვები დააყოლა: «შენ გამაშავე და გამლანძღე აზნაურობის კრებაში და მე ბულვარში გიძლევ მაგიერს შეურაცხებასო». ხელ-ცარიელი არც მე დავრჩენილვარ—ერთი გზობა თავზე ჯოხი დავკარი და მივეცი მცირედი ჭრილობა გულზე.

მიზეზი ჩემი და ბაქრაძის შეტაკების დაწვრილებით შეტყობილი აქვს ბ. გუბერნატორს; ის და სხვებიც, ვინც საქმის გარემოება იცის, დარწმუნებულნი არიან, რომ ბ. ბაქრაძე მე პირადი მტრობისთვის არ დამცემია, არამედ ის იყო, როგორც სხვა შემთხვევებში სხვა პირებისგან მოგზავნილი, იმ პირებიდგან, რომელთ ბოროტ-მოქმედება ზოგი გამოაშკარავებულია საქვეყნოდ და ზოგიც მალე იჩენს თავს. ამ საქმისთვის ბ. ბაქრაძე ექვსი კვირა ქუთაისის ციხეში იჯდა და დღეს, როგორც ამ საქმისთვის, ისე სხვა საქმეებისათვისაც მოშორებულია სამშობლოს.

რა იფიქროს კაცმა ბ. ქ. გელოვანზე? ნუ თუ მან ეს გარემოება არ იცოდა? არა, ძალიან კარგათ იცოდა, მაგრამ...

—

მე თუ ამირჩია თავად-აზნაურობამ კამისიის წევრად, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ პირში მოუფერებლად, სიმართლით ავასრულებდი ჩემდამი მონდობილებას. და მგონია კიდევაც შევასრულე ჩემი მოვალეობა. მართალია, ამ შემთხვევით ბევრი უსიამოვნობა მომადგა, ბევრი მუქარი და საყვედური მივიღე, მაგრამ ვისგან?—რასაკვირველია იმისთანა ბოროტი და მავნებელი პირებიდგან, რომელთ დასასჯელად და გასასწორებლადაც იყო დანიშნული ბ. გელოვანისგან მოხსენებული კამისია.

მე მასახელებს ბ. ქ. გელოვანი ხალხის შემაწუხებელ და გამცარცველ პირად და ამასთან ამასაც ამბობს, რომ თავად-აზნაურობამ გუბერნატორის წინადადებით კამისიის წევრად აირჩია წულუკიძეო, იმ კამისიის წევრად, რომელსაც მთელს მაზრაში უნდა მოესპოს ბოროტ-მოქმედება. როდესაც ამას სწერდა, როგორ ვერ წარმოიდგინა ქ. გელოვანმა, რომ ამ სიტყვებით ის მთელს რაჭის თავად-აზნაურობას არცხვენს და უტეხს სახელს. როგორ მოხდა ეს, რომ თავად-აზნაურობამ ბოროტების მოსასპობლად პირველი ბოროტი და მავნე პირი ამოირჩია?

მე დიდად მოხარული ვარ, რომ ქ. გელოვანი მაძლევს შემთხვევას თამამად წარმოვსთქვა ის, რისი თქმაც დღემდის უფრო მეძნელებოდა.

ბ. ქ. გელოვანი, შეეხო ჩემის სამსახურის საქმეებს და ლიტონი სიტყვებით ამტკიცებს ჩემს ბოროტ მოქმედებას; იქნება, საჭიროებამ მოითხოვოს და გელოვანმა ისურვოს ჩემი სამსახურის საქმეების განჩხრეკა; ამისათვის ვაძლევ სრულს უფლებას მობრძანდეს ჩემთან და ერთი ან ორი მოწმის თანდასწრებით ამოიწეროს შენიშვნები ჩემი საქმეებიდგან და, სადაც ნებავდეს, წარადგინოს. დასასრულს მოგახსენებ ბ. გელოვანს, რომ მე დიდის სიამოვნებით გავსცემ მას პასუხს ჩემი ბოროტებების შესახებ, თუნდა გაზეთის საშუალებით.

რაჭის სასამართ. ბოქაული
ალექსანდრე წულუკიძე.

1 თებერვალს 1884 წ.
დ. ონი.

*) იხ. «დროება», № 47.

## უცხოეთი

— 26 თებერვალს გორდონს ხართუმში გამოუცხადებია კიდევ მეორე პროკლამაცია აჯანყებულებისადმი: «მას დღეს აქეთ, რაც მე აქ მოვედი, ყოველთვის კარგს რჩევას გაძლევდით და ყოვლის ღონისძიებით ვცდილობდი თქვენს დამშვიდებას და სისხლის ღვრის თავიდამ აცილებას; მაგრამ თქვენ ჩემი რჩევა არ შეისმინეთ და ამის გამო იძულებული გავხდი დამებარებინა ბრიტანიის ჯარები, რომელნიც უკვე გზაში არიან და ამ დღეებში მოვლენ აქა. მე სასტიკად დავსჯი ყველას, ვინც არ გამიგონებს და არ დაწყნარდება. თქვენ თითონ იცით, რომ მე კარგად ვუწყი ყოველივე, რაც თქვენში ხდება. მე ამას იმიტომა გწერთ, რომ ეჭვი არა გქონდეთ ჩემს გარდაწყვეტილებაზედ».

— ამ დღეებში ვენგრიის დეპუტატთა პალატას ჰქონია ფრიად საინტერესო ბაასი მმართებლობისაგან წარდგენილს კანონ-პროექტზე შესახებ სტრატეგიული რკინის გზის გაყვანისა მუნკანჩსა და ბუშკიდს შუა. ვენგრიის მინისტრ-პრეზიდენტს ტისას წარმოუთქვამს ამ საგანზე შესანიშნავი სიტყვა, რომლიდგანაც რამდენიმე ადგილი მოგვყავს: «მე სადღაც წამიკითხავს,—უთქვამს სხვათა შორის ტისას,—და იქნება, აქაც ვისმე გამოეთქვას—ჯერ რა საჭიროა სტრატეგიული რკინის-გზის გაკეთება, რო-

---

ლიერ გვალვის შემდეგ, წვიმა დამჭკნარ მცენარეს აცოცხლებს ხოლმეო; მეორე უპასუხებს, რომ ჯერ კახეთში რკინი-გზის გაყვანა მოვახერხოთ და მერე ძევლებისთვისაც ვიზრუნოთო, თუ შეძლება გვექნებაო და სხვ. და სხვ.

როგორც ჰხედავ, ჩვენს მიმართულებაში, მოსაზრებებში და პროგრამებში ისეთი გამოუკვლევლობა და არევ-დარევა სუფევს, რომ «ძაღლი პატრონს ვერ იცნობს» და, მაშასადამე, სად არის განსაზღვრული პროგრამა?

— კმარა! კმარა! ახლა ეს მითხარი, რაში ჰხედავ დაცემულ ზნეობას?

— იმედია, რომ ბევრს ახალგაზდა განათლებულ ქართველს იცნობ, მართალია, თუ არა?

— მართალია.

— ახლა ესეც მითხარი; ბევრია იმ შენს ნაცნობებში ზნეობის მხრით უბიწო ხასიათების პატრონი?

— მართალი უნდა თქვას კაცმა, ძალიან ცოტაა. აუარებელ ჩემს ნაცნობებში, მე მხოლოდ რამოდენიმეს ვენდობი ყოველისფერში; სხვების კი რა მოგახსენო?

— მეც მაგ ნაირ ცეცხლში ვარ და! მაგრამ ეს კიდე არაფერი: მე მიმიცია ბევრისთვის ეგეთივე კითხვა და ყველასგან მაგნაირი პასუხი მიმიღია. ამასთანავე ნუ დაგავიწყდება—როცა ჩვენს ახალგაზდობაში პატიოსნებაზე და საზოგადოდ ზნეობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, წარმოიდგინე, სიტყვებით ყველა ზნეობითს იდეალებს ემსახურება, ყველა ძმობას და მეგობრობას ქადაგებს, მაგრამ საქმით კი ღმერთმან გაშოროს!

— რუდინები არიან სწორედ?

— ამ ნაირი დასკვნისა რა მოგახსენო! ჩვენი პირადი დაკვირვებით და ნაცნობობით საზოგადო ზნეობის გაზომა! ჰმ! ახირებული და უსაფუძვლო რამ უნდა იყოს! ამას, ძმობილო, სხვა ნაირი დამტკიცება უნდა!

— სხვა ნაირი დამტკიცება? მე არ ვიცი, კიდევ რა ნაირი დამტკიცება გინდა, როდესაც ყოველი კაცი ამას ამბობს, რასაც მე და შენ. სტატისტიკურ ცნობებს თუ თხოულობ, უკაცრავად, ამისთანაებისთვის კი არა, ეკონომიური კითხვებისთვისაც არა გვაქვს ჩვენ სტატისტიკა. აი, ამას წინადაც კითხულობდენ «დროებაში»: ეკონომია, თუ აგრონომიაო? და იქაც არ გახლდათ სტატისტიკური ცნობები, თორემ აქ რა უნდა, კაცო!

— კარგი, თუ გინდა აგრე იყოს. ახლა რას იტყვი მეოთხე ბრალზე? გახსოვს, ამბობდი, რომ თუ ჩვენში შეტაკება მოხდა, უნიადაგო უნდა იყოსო?

— მახსოვს! როგორ არ მახსოვს! მაგრამ ამას რა განმარტება უნდა? ეს ისე ცხადია, როგორც დღის სინათლე!

— ვინ იცის? იქნება არ გამოდგეს ცხადი! აბა გამოგვიცხადე.

— მაშ გაიგონე! ჩვენი ინტელიგენციის წევრებმა, ლიტერატორებმა, მასწავლებლებმა და დოქტორებმა რომ ერთმანეთის ხორცი შესჭამონ, არ იქნება გასაკვირველი. გადაავლე თვალი ყველა იმ ქალაქებს, სადაც ჩვენი ახალგაზდობის ცოტაოდენი მოძრაობა მაინც სჩანს: ყოველგან უწმინდური შური, ლანძღვა-გინება და უშინაარსო ბრძოლა ფესვგადგმულია. ერთი ეს მითხარი, რა აქვთ გასაყოფი ამ კაცებს? თუმცა ისინი აზრებით რომელიმე ღირს-შესანიშნავ საგანზე და მიმართულებით განირჩევიან, ნუ დაავიწყდებათ, რომ ლოლიკა კაცობრიობის საზოგადო საუნჯეა და პატიოსნურად მიმართონ მას; მაშინ, მხოლოდ მაშინ ბრძოლა იქმნება პატიოსანი და ნიადაგიანი, თორემ ამდენ ხანს საჭირო საგანს, ლოლიკას გვერდს უვლიდენ და ეს რა მოსაწონია?

— კარგი! ახლა მეხუთე ბრალის საფუძვლები მოსძებნე. მეხუთედ შენ ამბობდი, რომ ჩვენში ხასიათების სისუსტე და შრომის მიუჩვევლობა საზოგადო სენიაო.

— ეს იქიდგანვე სჩანს, რაც ზნე-

***

დესაც ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ მშვიდობიანობა არ შეირყევა, და რუსეთთანაც მეგობრული განწყობილება გვაქვსო. მე ამაზედ უნდა შევნიშნო, რომ ომის დაწყებიდგან პირველ შეტაკებამდინ ან ერთი კვირა, ან ბევრი, ბევრი, ერთი თვე გაივლის ხოლმე. თქვენ, უეჭველია, გეცოდინებათ, რომ ხშირად გამარჯვება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ პირველად რომელი სახელმწიფო გავა ბრძოლის ველზედ. ვინც სამი-ოთხი დღის წინად გავა ბრძოლის ველზედ, 50% გამარჯვებისა იმის მხარეზეა. ნუთუ მაშინ უნდა შევუდგეთ რკინის-გზის გაკეთებას, როდესაც ომი კარ-წინ მოგვადგება. მე არ მინდა, ჩემი სიტყვები სხვანაირად ახსნათ და ამისათვის მოგახსენებთ, რომ მე **მრწამს და იმედი მაქვს, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა.** უკანასკნელნი შემთხვევანი უფრო ამტკიცებენ ამ ჩემს რწმუნებას; მაგრამ როდემდის ვასტანს ეს მშვიდობიანობა, ამის თქმა, რასაკვარველია, არავის შეუძლიანო». შემდეგ ტისამ ილაპარაკა იმაზედ, რომ რუსეთმა ამ უკანასკნელს დროს რკინის-გზები ბლომად გააკეთა თავის დასავლეთის სამზღვრებზედ და ამის გამო ავსტრიაც მალე უნდა შეუდგეს თავის სამზღვრების გამაგრებას. ამას მტრული განზრახვით არ ვამბობო,—სთქვა მინისტრმა,—მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული რომ რუსეთს საგნად დაუდვია მშვიდობიანად ცხოვრება, როგორც გერმანიასთან, აგრეთვე ავსტრო-ვენგრიასთანაცო. ჩვენც აგრეთვე ამას ვცდილობთო; მაგრამ მაინც კიდევ რუსეთის მაგალითისამებრ მზად უნდა ვიყოთ ბრძოლისთვისაო.

— ბერლინის გაზეთებში იწერებიან, რომ მმართებლობას განზრახვა აქვს სთხოვოს რეიხსტაგს, რომ მან სოციალისტების შესახებ დადგენილი კანონი მომავალი 1 სექტემბრიდგან ორს წელიწადს კიდევ განაგრძოსო.

## სხვა-და-სხვა ამბები.

—

**თავ-განწირული მოგზაურობა.** ერთ ღარიბ ინგლისელს, ჯორჯ ადამსს, უნდოდა საჩქაროდ გადასულიყო ლივერპულიდამ კრიუში, გზის ბილეთის ფული კი არა ჰქონდა. რა ქნა? ადგა და კურიერის მატარებლის ერთ ვაგონს ქვეშიდამ გაუკეთა ორ ადგილას თოკის ყულფები. შუაღამისას, როცა მატარებელი უნდა გასულიყო, მოვიდა ადამსი, გაყო ერთ ყულფში მხრები, მეორეში— ფეხები და ამ სახით გაიარა რამდენიმე სტანცია. საცოდავს სულ დასისხლიანებული და დაქექილი ჰქონდა მხრები, ზურგი და საჯდომი. ბევრჯელ სიკვდილის პირსაც იყო, მაგრამ გადარჩა. რასაკვირველია, ასეთი დამტვრეული და გალახული ადამიანი ისე ვერ წავიდოდა კრიუს სტანციიდამ, რომ არავის მიექცია მასზე ყურადღება. ყარაულებმა დაიჭირეს იგი და წარადგინეს სასამართლოში, სადაც ადამსსა ჰბრალდებოდა მუქთად გავლა რკინი-გზით. მაგრამ ადამსის საცოდავმა შეხედულობამ და მისმა დამწველმა ლაპარაკმა საშინელ მოგზაურობაზე ისეთი მოქმედება იქონია მსაჯულებზე, რომ იმათ არამცთუ გაამართლეს დამნაშავე, არამედ ფულიც მისცეს მოსარჩენად.

—

**ტელეფონის ახალი ამაგი.** ნიუ-იორკში ერთი კაცი შეხვდა ქუჩაში ძაღლს, რომელიც თითქო იმისი მეგობრის ძაღლსა ჰგვანდა. ეჭვის გასაფანტად, წავიდა იგი ტელეფონის სტანციაზე, გამოუძახა თავის მეგობარს და ჰკითხა —ძაღლი ხომ არ დაგიკარგავსო? დავკარგეო, უთხრა მეგობარმა. მაშ, აბა ტელეფონით გამოელაპარაკე შენს ძაღლსაო, უთხრა პირველმა, და ტელეფონი მიუტანა ძაღლს ზედ ყურზე. ტელეფონში ხმამაღლა გაისმა «ჯეკ» (ძაღლის სახელი). გაიგო თუ არა თვისი სახელი და პატრონის ხმა, ჯეკმა შეჰქნა ყეფა და საცოდავი წმუკუნი, რომელიც ტელეფონითვე გაიგო ძაღლის პატრონმა და დარწმუნდა, რომ ეს ძაღლი სწორედ იმისია. ნახევარ საათს უკან ძაღლმა და მისმა პატრონმა ერთმანეთი ნახეს კიდეც.

—

**მოლაპარაკე ძაღლი.** რესტორანში შევიდა ერთი ხუმარა კაცი, მუცლით მოლაპარაკე, დაჯდა სკამზე, მოისვა გვერდით ძაღლი და მოითხოვა ბიფშტექსი. «მეც ბიფშტექსი მომართვით» — წარმოსთქვა ძაღლმა წმინდა მშვენიერი ენით. იქვე ახლოს მჯდომმა ინგლისელმა დაალო ყბა, ისე გაუკვირდა. «როგორ! ნუთუ თქვენმა ძაღლმა ლაპარაკი იცის? მომყიდეთ მეო», უთხრა ინგლისელმა ძაღლის პატრონს. —«მე სრულებითაც არ მინდა, რომ გამყიდოს ვინმეო» — უპასუხა ამაყად ძაღლმა. ინგლისელმა უთქმელად ამოიღო ჯიბიდამ ას გირვანქა სტერლინგიანი ბანკის ბილეთი და მიაწოდა მუცლით მოლაპარაკეს. კარგიო, უთხრა უკანასკნელმა, წაიყვანე ძაღლიო».— «დასწყევლა ღმერთმაო!» წამოიძახა განაწყენებულმა ძაღლმა: მაშ რა კი აგრეა მე ჩემს დღეში ხმის ამომღები აღარა ვარო».

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

1 მარტს.

პეტერბურგი. 1 მარტის ტირაჟში უმთავრესი მოგებანი შემდეგს მეორე შინაგანი სესხის ბილეთებ-სა რგებიათ.

| №№ სერიებისა. | №№ ბილეთ. | ჯამი მოგებისა. |
|---|---|---|
| 16,087 | 1 | 200,000 |
| 13,798 | 11 | 75,000 |
| 12,215 | 10 | 40,000 |
| 16,524 | 37 | 25,000 |
| 407 | 31 | 10,000 |
| 10,174 | 51 | 10,000 |
| 1,237 | 41 | 10,000 |
| 15,383 | 46 | 8,000 |
| 16,315 | 5 | 8,000 |
| 15,925 | 24 | 8,000 |
| 15,075 | 18 | 8,000 |
| 7,236 | 34 | 8,000 |
| 321 | 8 | 5,000 |
| 8,483 | 5 | 5,000 |
| 10,195 | 41 | 5,000 |
| 17,400 | 39 | 5,000 |
| 15,421 | 5 | 5,000 |
| 18,750 | 27 | 5,000 |
| 13,409 | 1 | 5,000 |
| 9,386 | 10 | 5,000 |
| 2,541 | 8 | 1,000 |
| 18,743 | 40 | 1,000 |
| 4,684 | 14 | 1,000 |
| 16,071 | 31 | 1,000 |
| 14,322 | 43 | 1,000 |
| 13,531 | 5 | 1,000 |
| 3,536 | 26 | 1,000 |
| 765 | 26 | 1,000 |
| 3,952 | 3 | 1,000 |
| 15,654 | 26 | 1,000 |
| 216 | 33 | 1,000 |
| 9,592 | 5 | 1,000 |
| 9,348 | 48 | 1,000 |
| 17,144 | 18 | 1,000 |
| 11,848 | 8 | 1,000 |
| 17,254 | 6 | 1,000 |
| 588 | 34 | 1,000 |
| 14,530 | 39 | 1,000 |
| 17,310 | 8 | 1,000 |
| 6,025 | 37 | 1,000 |

გუშინ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს-ძე დაბრუნდა სამზღვარ-გარედამ. მისი უმაღლესობის დაქორწინება ბედ ჰესენის პრინცესა ელისაბედთან, იქნება, ივლისში მოხდეს.

ბაქო. ამ დღეებში თბილისში განსჯიან ამერიკელი ტვედელის

---

ვითა ვთქვი და, იმედია, ბევრს არ მალაპარაკებ. აქ გკითხავ მხოლოდ: ვისთვის არ არის ცხადი, რომ ჩვენ მარტო «ფრაზიორობა» შეგვიძლიან და არა საქმობა? და თუ დავიწყებთ რაიმე საქმეს, ხომ მაინცა-და-მაინც უნდა შევრცხვეთ, რადგან ბოლომდის თავის დღეში ვერ მივიყვანთ. ამის მაგალითები ზევითაც ჩამოთვლილია და, გარდა ამისა, რამდენიც გინდა, იმდენი მოიძებნება. რას მოასწავებს ესა? ყოველიფერს, რაც გინდა, მაგრამ არა ჩვენი ხასიათების სიმაგრეს და შრომის მიჩვევას.

— მესმის, მესმის. შენ ამბობდი კიდევ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყოველს ნაბიჯზედ შეხვდებითო სულმოკლეობას, ტრაბახობას და რაღაც უზომოდ სულელურ თავ-მოყვარეობასაო. აბა გაამართლე შენი სიტყვები!

— ამისთვის სრულებით საკმაო იქნება, მოიგონო პოლემიკა ჩვენს მწერლობაში და ან თვითონ ასტეხო რაიმე საგანზედ. მაშინ აშკარად დაინახავ, რომ თვითონაც გაგიჭირდება თავის შეკავება და ორივე მხარენი დაიწყებთ თავის ქებას და ტეხას და ისეთს რასმეს გამოსჩეკთ ბაასში, რომ თქვენი სულგრძელობა და სხვა კაცობრიული ღირსება, რამდენიც უნდა გქონდეთ, სულ ქვესკნელში ჩავა. მართალია, ხანდისხან მოხდება რომ თქვენ თვითონაც დაინახავთ თქვენს შეცდომებს და მეტად საწყენად გირჩებათ, სინანულში ვარდებით, მაგრამ, როგორც იცი, შემდეგ სიკვდილისა სინანული რას გაარიგებს?

— მადლობა ღმერთს! ძლივს არ გაათავე? მაგრამ უნდა გაგიტყდე, ცუდი შთაბეჭდილება კი მოახდინა ჩემზე შენმა მსჯელობამ. შენ რომ კაცი დაგერწმუნოს, გამოვა, რომ ჩვენ არაფერი არა გვაქვს.

— არც არაფერი მომავალში გვექნება!!

— მომავალში რა იქნება, ძნელი გამოსაცნობია; ამ ჟამად კი მე დარწმუნებული ვარ, რომ ამისთანა შეხედულობის პატრონს მთელს საქართველოში, შენს გარდა, მეორეს ვერ იპოვი. ყველას გულში რაიმე იმედი უღვივის, ყველა ჰხედავს, რომ წინ ვადგამთ ნაბიჯს და არა უკან, ყველა თავისებურად რასმეს აკეთებს. შენ კი ახირებულხარ და გაიძახი: «არაფერი საიმედო არა გვაქვს და არც გვექნებაო». მაგრამ გავათაოთ ეს სამწუხარო ლაპარაკი, მით რომ ორივემ ერთად ვისურვოთ.

— ღმერთმა ჰქნას! ღმერთმა ჰქნას! ნეტარ არიან მორწმუნენი!

—

აქ მე და ჩემმა მეგობარმა შევწყვიტეთ ლაპარაკი, და უნდა გითხრათ სიმართლე, ძალიანაც გამეხარდა, რადგან იმისთანა ნაღვლიანი და უმართლო პესიმისტობა, როგორიც მან გამოიჩინა, მე ძლიერ მეჯავრება.

რა ახირებული კაცი გამხდარა! ვინ მოიფიქრებდა, თუ ამისთანა უიმედობას მიეცემოდა, როდესაც უწინ სულ მარტო იმედებით იყო სავსე? ცხოვრების დაკვირვებამ დამიკარგა მთელი სარწმუნოებაო: კარგია, რომ სხვაზედაც ასე არ იმოქმედა ცხოვრების დაკვირვებამ! ტყვილად კი არ არის ნათქვამი: «ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცაო».

რაიცა შეეხება ჩემს მოსაზრებას ამ საგანზედ, როგორც ზევითაც დაინახავდა მკითხველი, მე სრულიად არ ვეთანხმები ჩემს მეგობარს, და თუმცა ეს საუბარი გარდმოგეცით— მარტო იმისთვის, რომ თქვენც გაიცნოთ ეს ახირებული შეხედულობა ჩვენს საზოგადო შემოქმედებითს ძალაზედ და გაილიმოთ; იქნება, ამ საშუალებამ ჩემი მეგობრის თავხედობა მოსპოს და ცხადად დაინახოს მას მისი შეცდომილებანი.

ლ. ზარათელი.

გორი.

1 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადებას შესახებ ნავთის გასაყვანი მილების გაკეთებისა ბაქოდამ შავი ზღვისკენ და როსტოვო-ვლადიკავკაზის გზისკენ.

# განცხადებანი

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მარტის 6 რიცხვსა ამა წლისას მისგან დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გაცემაზე ქალაქის იმ ადგილებისა, რომლებზედაც ბუდკებია გამართული მინერალური წყლების გასაყიდად. ვადა იჯარისა იქნება კონტრაქტის შეკვრის დღიდგან, ვიდრე სამ წლამდინ. იჯარით გაიცემიან შემდეგი ადგილები; ერთი გოლოვინის პროსპექტზე გიმნაზიის ქუჩასთან, ერთი რეიტერის სახლთან, ერთი ანტონოვის სახლთან, ერთი ფოსტის სტანციის პირ-და-პირ, ერთი ალექსანდრეს ბაღთან, სახაზინო პალატის პირ-და-პირ, სამი ერევნის მოედანზე და ერთიც ავლაბარში, სულ ცხრა ადგილი.

იმ პირთ, ვისაც ამ ადგილების აღება სურთ, შეუძლიანთ პირობები სინჯონ ყოველ დღე ორ საათამდინ, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. (3—2)

## ინგლისის მაღაზია

**Maison de confiance**

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ უკელაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—87)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25°/₀-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფრაკნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, სურსები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—71)

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25°/₀ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თუთრუულისათვის, პატარა ხალხისა იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომპი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპოტკები-თვის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქამე ალაბდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—52)

## ჟურნალი „ივერია“

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თვეში და თვეში იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა მიიღება**

თბილისში: შავერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქვე, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: **Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія»**.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი **ილ. ჭავჭავაძე.**

## სტამბა

ეფთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—36)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

| | | | |
| --- | --- | --- | --- |
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაური ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2½ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3½ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | 3½ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | — კ. |
| მეორის — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

*Дозв. ценз. Тифлисъ, 1 Марта 1884 г.* ეფ. ხელაძის სტამბა ) *Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ს. მართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.